№ 200 სექტემბერი 21, სამშაბათი 1893 სექტემბერი 21, სამშაბათი № 200

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ

თოვე	მან.	კ.	თოვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებებიც დასაბეჭდათ უნდა მიემართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავშვალის ტაბაზეთ, ბარანცევ ძეგლის პირდაპირ, ...

*** სოფ. შილდიდგან გვატყობინებს იქაური მღვდელი, რომ იქ ძლიერ გავრცელებულა ორ-გვარი ავადმყოფობა: ფაღარათობა და კიდევ რაღაც უცნაური სენი—გულის ღონება და პირ-საქმობა. სამის კვირის განმავლობაში მარტო ფაღარათობით გარდაცვლილა ორმოცი კაცი. არც ექიმი სჩანს თურმე და არც წამალი.

*** წვერი (ქართლში): აქეთ სოფლებში ქურდობაა გახშირებული: დირბში, სასირეთში, ფლავში, აბისში და სხვ.; სოფელი ბრეთი ხომ ბუნაგია ქურდებისა. ამ სოფელში თავისუფლად დადიან სხვა-დასხვა ჯურისა და რჯულის ქურდები.

*** ხევი (დუშეთის მაზრა): რადგან ჩვენკენ კაცის კვლა, დაჭრა და დასახიჩრება არა იშვიათი მოვლენაა, ამიტომ თითქო განგებ ღმერთს ისეთი კაცებიც მოუვლენია ჩვენის ქვეყნისთვის, რომლებიც სასწაულთ მოქმედებრივ არჩენენ ისეთს მძიმე ჭრილობას, რომელსაც ნასწავლი მკურნალები ხელს ვერა სდებენ. ორი ამისთანა საოცარი ექიმი სოფ. გორიციხის მცხოვრებელნი არიან. ამათ ბევრი გაჭირებული და სამარისაკენ გამგზავრებული კაცი დაიხსნეს, ბევრს დაუბრუნეს სიცოცხლე. ერთი ამ ექიმთაგანი მთავრობისაგანაც ცნობილია, რადგანაც ისეთი ავადმყოფები მოურჩენია, რომლებსაც სამკურნალოებში ვერა უშველეს-რა. ეს შინაური ხირურგები სასყიდელს არ მისდევენ, რასაც თავისის სინდისით მისცემს ვინმე, იმასა სჯერდებიან, ზოგიერთ ბეჩავს, უცხო სოფლიდან მოსულს, სახლშიაც სწამლობენ, ანუ ნივთიერ შემწეობას აძლევენ.

აქეთ სასიამოვნო ტაროსია. ქერი მოგვივიდა წინა წლებთან შედარებით მცირე. თივის მოსავალიც მცირეა. მკა ამ მოკლე ხანში მგონი ყველგან გათავდება. მატყლიც კარგი ავიდა და ბლომადაც, მაგრამ ვაჭრებს უხაროდეთ: ყველა ვაჭრებს ერთი პირი აქვთ: როგორც თკითონა სურთ, იმ ფასად ჰყიდულობს.

*** უჩხეთი (ბათუმის ოლქი): 12-ს სექტემბერს, ღამის თორმეტ საათზედ თავის საწოლს ოთახში მოჰკლეს მძინარე ჰასან იბრაიმ-ოღლი-კომპლატაძე. ეჭვი მიიტანეს ოსმან და

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

—

დროებითი დებულებანი

პურის დაზღვევისა რუსეთის საქციონერო საზოგადოებათა მიერ შემცირებულის ტარიფით.

(დამტკიცებულნი ფინანსთა მინისტრის მიერ 8 სექტემბერს 1893 წელს.)

1) რუსეთის დამზღვეველ საქციონერო საზოგადოებათა მიერ 50%-ზედ შემცირებულ ტარიფით მიიღება დასაზღვევად პური, შენახული კერძო, საზოგადო და სახელმწიფო საწყობებში და აგრედვე ნავთ-სადგურებსა და რკინის გზის სადგურებში: ა) მიყიდული მემამულეთა, გლეხთა და საზოგადოდ მეურნეთა მიერ სანტენდანტო სამმართველოსათვის, ერობათა, რკინის გზათა და სხვა სამმართველოების შუამავლობით და ბ) რომელიც უზრუნველად ჭეშმარიტად ზემოხსენებულ კეტოთვის მიცემულ სესხსა სახელმწიფო ბანკისა, მის კანტორებისა და განყოფილებათა მიერ, ანუ სახელმწიფო ბანკის მაგიერ კერძო ბანკებისა, განყოფილებათა, აგენტთა და სხვა საკრედიტო დაწესებულებათა და საერობო სამმართველოთა მიერ.

2) პირველ მუხლში დასახელებულ დაწესებულებათა მიერ, რომელთაც შეისყიდეს პური, ანუ სესხი გასცეს, რუსეთის დამზღვეველ საზოგადოებანი, დათანხმებულნი ამ პირობათა მიღებაზედ, მიიღებენ დასაზღვევად ხორბალს, თანხმად ამ დაწესებულებათა მოხსენებისა. დაზღვევა კანონიერად ჩაითვლება და საზოგადოება ამ დღიდგან კისრულობს პასუხის გებას, რა დღესაც გამოგზავნად იქნება დაწესებულების მიერ ოხოვნა დაზღვევისა, საგანგებო (წერილით, ანუ აგენტის სელწერილითა).

3) თუ დაზღვევის პრემიის რაოდენობა ათი ათას მანათს აღემატება დამზღვევ საზოგადოებას, წერილის გარდა დუპშით უნდა აცნობონ.

4) დაგირავებული პური მიიღება დასაზღვევად არა უმეტეს 15%-ისა სესხად აღებულ ფულისა და ოელელ შემთხვევაში არა უმეტესად ბაზრის მაზანდასა; ხოლო ნაყადი პური დაიზღვევა იმ ფასად, რა ფასადაც იქმნა შესყიდული.

5) მეორე მუხლში აღნიშნულ მოხსენებისათანავე, დამზღვეველმა საზოგადოებამ უნდა მაჩვენოს დაზღვევის პრემიის სათანადოდ ამ დაწესებულებას, რომელმაც ეს მოხსენება გამოგზავნა და ამასთანავე წარუდგინოს კვიტანცია დაზღვევის სელშეკრულობისა;

და 6) მეორე მუხლში აღნიშნულ მოხსენებაში უნდა იყოს შემდეგი ცნობანი: სახელი, გვარი და წოდება პურის პატრონისა, ადგილი, სადაც პური შენახული, (მაზრა, ქალაქი, სოფელი და სხვა); სარისხი და რაოდენობა პურისა, როგორ საწყობშია შენახული პური, (რისა კედლები და სახურავი საწყობისა), რაოდენობა სესხისა და იმ ფულისა, რამდენადაც დაზღვეულია.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ. დუპშით გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნული უნდა იყოს, რამდენად ᲒᲡᲣᲠᲡ დაზღვევა და სად არის შენახული პური (მაზრა და საზოგადოება).

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ᲡᲝᲤ. ᲛᲔᲚᲔᲥᲔᲓᲣᲠᲘ (გურია). თიოქმის მეოთხე წელი სრულდება, რაც ჩვენში ფირალები გაჩნდა და ჩვენი ბედი უკუღმა დატრიალდა. ამ ფირალების გამო ჩვენში მოწვეულია მამასახლისად ს. წერეთელი და მასთან ოთხი მცველი. ს. წერეთელს დანიშნული აქვს ჯამაგირი ათასი მანეთი, რომელიც უნდა იხადონ წელიწადში ჩვენის სოფლის მცხოვრებლემა. მაგრამ პირველად უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს სოფელში ოთხმოცდა ათას კომმლამდეა აზნაურობა, თავად-სამღვდელოება და გლეხობა. ასე რომ ნახევარი ნაწილი ამ სოფლისა შესდგება ზემოხსენებულ ოროდებისაგან. აღნიშნულს ჯამაგირს წინაპირველად ყველანი ვიხდით რაც შეხვდება თითოეულს კომლს. აგერ ერთი წელი გადის, რაც ს. წერეთელი ჩვენში მამასახლისად არის. ამ ბოლოს ხანს, ფრიად საყურადღებო ცვლილება მოხდა ამ ფულის გარდახდის შესახებ: მთელი გადასახადი მამასახლისის შესანახავად მარტო გლეხებს დააწვათ და სხვა წოდება განოავისუფლებულ იქმნა. ჩვენი სოფელი დიდის ხნის გაშენებული არ არის. რადგანაც ცოტა მცხოვრებნი ვიყავით, ფიცრის პატარა ეკკლესია გვქონდა ეგებული, მაგრამ როდესაც სოფელი გაფართოვდა და გადიდდა, ჩვენც შევუდეგით საუკუნო საქმეს—ქვის ეკკლესიის აღშენებას და კიდევაც ერთ-გულად შევუდექით მუშაობას, მაგრამ ჩვენს სოფელს დავთარი აერია და იმ ამბავმა, რომ მთელი გადასახადი მარტო გლეხებს დააწვა კისერზე, შეუძლებლად გახადა ჩვენთვის დაწყებულ ეკკლესიის დასრულება. ამ სახით კაცის საქმემ ღვთის საქმე დაგვავიწყა.

ა—ნ მელექედურელი

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

—

„ივერიის“ № 197-ში იყო მოხსენებული ქუთაისიდგან მოწერილი ამბავი ეკკლესიების გატეხის თაობაზე. რადგანაც მოამბეს შეცდომით უცნობებია რედაქციისათვის დაკარგულ ნივთების ფასი, ამის გამო საჭიროდ დავინახე ვაუწყო მკითხველ საზოგადოებას, რომ პეტრე-პავლეს ეკკლესიიდგან მოპარულ ნივთების ფასი არ აღემატებოდა სამოც მანეთს, მაგრამ ეს ნივთები, როგორც მაცნობა ადგილობრივმა მღვდელმა, უკვე უპოვნიათ. ხოლო სასაფლაოს ეკკლესიიდგან არის მოპარული ცხრა მანეთისა და სამი აბაზის ნივთები და ორი აბაზი ფულად, სულ ათი მანეთისა.

ბლაღოჩინი ქუთაისის ქალაქის ეკკლესიების მღ. ნ. ყუბანეიშვილი.

18 სექტემბერს
ქ. ქუთაისი.

რუსეთი

—

Нов. Вр. იუწყება, რომ ამ წლის დამდეგს სახელმწიფო საბჭო გაარჩევს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ებრაელთა მდგომარეობა რუსეთში.

საბაჟო ომის მოსასპობად, რომელმაც დღეს ევროპაში ჩაიქროლა, გერმანია და რუსეთი, დანიშნულია კომისია. ეს კომისია უკვე შეუდგა თავის საქმეს ბერლინში და საზოგადო სურვილია, რომ კომისიის შრომა კეთილ-ნაყოფიერად დაგვირვინდეს, ე. ი. რომ ორთავე სახელმწიფოსთვის საზარალო ბაჟი საქონელზე მოსპობილ იქმნას.

—

პეტერბურგში ველოსიპედი შეეჯიბრა ტროიკას. გასავლელი მანძილი იყო 25 ვერსი. ტროიკამ გაიარა ეს მანძილი 57 წამსა და $42^2/_5$ წუთში, ხოლო ველოსიპედისტმა 55 წამსა და $5^4/_5$ წუთში.

—

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ახალი პროექტი შეუმუშავებია რუსეთის საბაღოსნო სასწავლებლებისა. ამ სასწავლებლებში სპეციალურად ასწავლიან ბაღოსნობას და ამას გარდა სცდიან და გამოიკვლევენ, რომელ მცენარეების გაშენება სჯობიან და ეცდებიან გაავრცელონ ხალხში საბაღოსნო ცოდნა. დაბალი საბაღოსნო სასწავლებელი ორის ხარისხისა იქმნება. სპეციალურად ასწავლიან მევენახობას ნიკიტის ბაღში, ბაღოსნობას—უმანის სასწავლებელში. პენზისა და ნიკიტის სასწავლებლები პირველ ხარისხ სკოლებად გადაკეთდება; ბესარაბიის საბაღოსნო სასწავლებელი—მევენახობის სასწავლებლად საშუალ სამეურნეო სასწავლებელთა კურსით. უმანის სასწავლებელი განსაკუთრებით სამეურნეო იქმნება და ამას გარდა უმანშივე დაარსდება ახალი პირველის ხარისხის საბაღოსნო სასწავლებელი; ამისთანავე სკოლა, ხოლო მეორე ხარისხისა, დაარსდება ვორონეჟში. სამინისტროს გარდუწყვეტია ეხლანდელზედ ბევრით მეტი ჰხარჯოს ამ სკოლებზედ.

—

ამ წლის სესიაში სახელმწიფო საბჭო განიხილავს საქმეს შესახებ ამოწყვეტილ თავად-აზნაურთა მამულებისა გადასწყვეტავს, მიეცეთ თუ არა თავად-აზნაურთა საზოგადოებათ უფლება მემკვიდრეობისა იმ მამულებზედ, რომლებიც არ არის აღნიშნული შთამომავლობის სიებში და აგრედვე საქმეს ქალაქის უძრავ მამულებისას, რომლებიც რჩებათ უმემ-

---

გაყრილი და „იმაზე“ ვილაპარაკებთ განა?.. ახლა ეს მითხარით, წარმოდგენას ხომ დაესწრებით?

— დიაღ, ბატონო,—უპასუხა მოხუცმა დედაკაცმა,—კარებთანა სდგას ჩემი სკამი; კარგი იღბალი მომივიდა... მაგრამ უკაცრავად, ბატონო სენეშალ, უნდა ჩემს საქმესაც მივხედო.

და სანამ მეკარე პალტოებისა და ქოლგების შენახვაში იყო გართული, მოქანდაკემ მე შემომხედა და, რა დაინახა ჩემი განცვიფრებული სახე, დაღონებით შემომღიმა, ხელი მომკიდა და თეატრში შემიყვანა.

— წავიდეთ, დავ'ხდეთ,—წარმოსთქვა აღელვებულის ხმით.—ამ ქალის ვინაობას ახლავე გეტყვით... ძაან სამწუხარო ისტორია კია! მაგრამ ამავე დროს ნუგეშის მცემი ისტორიაცაა: იგი ამტკიცებს, რომ გქვეყანაზე კიდევ მოიპოვებიან უანარო არსებანი... გავჩუმდეთ! ზარი მესამედ დააწკარუნეს.

ყველას ახსოვს, რა ჩინებულად ჩაიარა „მაწანწალა რაინდებმა“. ეს პიესა ასჯერ წარმოადგინეს სცენაზე და „ოდეონი“ ყოველთვის ავსებით სავსე იყო ხალხით. ამ საკვირველმა შინაარსმა, ამ ნაკადულივით მჩქეფარე ლექსებმა პირველ სცენითგანვე მაყურებლებში განუწყვეტელი და აღტაცებული ტაშის კვრა და „ვაშა-ვაშას“ ძახილი გამოიწვია მოწონების ნიშნად. თუმცა ეს 25 წელიწადია, რაც საზოგადოება რაღაც ვითომ-და საზნეობო პიესების და სულელურ ოპერეტების ყურებამ გადიბირა, მაგრამ ამავე საზოგადოებამ, რა დაინახა ეს საშინელი გრიგალი ნიჭიერებისა და უუძლიერესის პოეზიისა, თვალები მოიფშვნიტა, გამოიფხიზლა. ამასთანავე ხმა შურისა და კილვისა არსაიდგან არ მოისმოდა. ათი წელიწადია, რაც ავტორი გარდაიცვალა. მას აქედ პირველის მოქმედების ბოლოს ისეთივე აღტაცება და ტაშის-კვრა ავვირგვინებს.

— ტაში, ჩემო ძმებო, ტაში! ტაში დაუკარით!—ჰყვიროდა სენეშალ, სანამ ფარდა ნელ-ნელა ეშვებოდა. არტისტები დაღლილნი და ბედნიერნი გამოდიოდნენ და თავს უკრავდნენ საზოგადოებას.

— დღეს გაცხარებით უკრავთ ტაშს და „ვაშა-ვაშა“-ს გაიძახით. ფირმეცს-კი ათის წლის განმავლობაში შიმშილით კუჭი ეწოდა; თქვენ არ იყავით რომ მაშინ ყურსაც არ იბერტყავდით, და სანამ ცოცხალი იყო, ერთი თეატრი ვერ იპოვა, რომ მისი უფროსი დათანხმებულიყო და ეს პიესა წარმოედგინა. ახლა მაინც დაუკარით ტაში, ჩემო კარგებო! ის მოკვდა, მეტს ვერას დასწერს!..

— ფირმეცი განა ღარიბი იყო?—ვკითხე მოხუცს არტისტს,—მინდოდა მისი დაპირება მომეგონებინა.

— დიაღ, ღარიბი იყო, უბედური იყო, მეტადრე ახალგაზდობაში. კიდეც მიტომ დსაწერა ასე ცოტა. საცოდავი პოეტი! იმას ოცნება და განცხრომა უნდოდა და ის-კი იძულებული იყო დიდის ხნის განმავლობაში დღიური სამუშაო ეძებნა ლუკმა-პურისათვის; იძულებული იყო ენციკლობედიებისა და ლექსიკონებისათვის სხვა-და-სხვა თხზულებათაგან სიტყვები ამოეკრიფნა და სტრიქონში ერთი ან ორი სუ აეღო. ბოლოს მემკვიდრეობა დარჩა და გამდიდრდა... მაგრამ შეჰხედეთ, თეატრის დარბაზი ცალიერდება. ანტრაქტი დიდხანს გასტანს, და ჩემი ამბავი კი მოკლეა. მაშ ყური მიგდეთ—დავიწყო.

— როცა ფირმეცი გავიცან, ორივე ოც-და-ხუთის წლისანი ვიყავით. მან ის იყო უნივერსიტეტს თავი დანება და მწერლობას მოჰკიდა ხელი. რა თქმა უნდა, მშობლები ძალიან გაუწყრნენ. მამა საშინელი ავგული იყო და პროვინციაში ნოტარიუსის მოვალეობას ასრულებდა. მას დღეს აქეთ შვილს ფულს აღარ უგზავნიდა. მაგრამ იმ ხანში კაცისათვის ყველაფერი ადვილი ასატანია, თვით სილარიბეც-კი. ამასთან, ყველამ იცოდა, რომ ოკტავს შეძლებული დედამამა ჰყავდა, შეეძლო ვალი აეღო; ჩაცმულ-დახურული ჩვენზე ნაკლებად არ იყო; პირ იქით, როცა ჩემს ღარიბს სამუშაო ოთახში შემოვიდოდა, ვოჟირარდის ბოლოს, მაშინათვე მისს აბრეშუმის ყელსახვევს და ხავერდის ჟილეტს ავიგდებდით ხოლმე სასაცილოდ. ამის გამო თითონ იმასაც კეკელას ვეძახდით. ოკტავი ლამაზი ყმაწვილი იყო—შავგრემანი, გრძელი და ხუჭუჭი თმა ჰქონდა, მოკლე წვერი; თვალები შეყვარებულ შველის თვალებს უგავდა. ლათინთ უბანში ქუჩის ქალების დაუცხრომელი მტერი იყო; აი კლემანსიც იქ გაიცნო.

კვიდროდ გარდაცვალებულ თავადაზნაურთ.

—

ამა წინად ბალტის ზღვაზედ დაღუპულ გემის „რუსალკა“-ს შესახებ ოფიციალური ცნობები დაბეჭდილია Правит. Вѣстник.-ში.

„უმთავრესს შტაბს 10 სექტემბერს მოუვიდა მოხსენება, სვეაბორგის ნავთ-სადგურის
როსისაგან. ამ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ კუნძულებ სანდახამასა და კემარასთან, ჰელსინგფორსის ახლოს ზღვამ გამორიყა ნამტვრევები გემისა, 9 გადაბმული საწოლი, სამი დამსხვრეული ნავი და ერთის ზღვაოსნის გვამი. ხომალდი „რუსალკა“ 7 სექტემბერს წავიდა რეველიდგან ბიორკე-ზუნდს, მაგრამ ქამადე არავინ იცის, რა დაემართა. 10 სექტემბერს ბიორკე-ზუნდში მშვიდობიანად მივიდა პატარა გემი „ტუჩა“ და იმავე დღეს მოახდინეს განკარგულ ება „რუსალკა“-ს საძებნელად. გაჰგზავნეს გემები: კრონშტადტიდგან—„კრეისერი“, ბიორკედგან—„ტუჩა“ და კიდევ რამდენიმე გემი რეველისა და ჰელსინფორსიდგან. გარდა ამისა გაგზავნილ იქმნენ ზღვის ნაპირების დასათვალიერებლად იახტა „როკსანა“ და რეველიდგან ერთი ცეცხლის გემი. ზემოდ დასახელებულ ნივთებ გარდა აქამდე ჯერ არაფერი უპოვნიათდა არ იციან, რა მოუვიდა „რუსალკა“-ს. გემს ეხლაც დაეძებენ. „რუსალკა“-ზედ იყო 12 აფიცერი და 166 ზღვაოსანი.

—

ჩვენ გვქონდა მოხსენებული, რომ გორის მაზრის თავად-აზნაურთა მარშლის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ახალი ვარიანტი რუსულის კომედიისა—Горе отъ ума, უცნობის ხელით დიდის მეცადინეობით შესწორებული. Нов. Время-ს გადაუბეჭდია ეს ამბავი და ამბობს, საჭიროა ეს ხელთ-ნაწერი შედარებულ იქმნას გრიბოედოვის ერთ-ერთ ავტოგრაფთანაო.

უცხოეთი

საფრანგეთი. გარეშე საქმეთა მინისტრმა დეველმა უთხრა მწერლობის კომიტეტის წევრთ, რომელნიც მივიდნენ მასთან მოსალაპარაკებლად იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იდღესასწაულონ რუსეთის ესკადრის მისვლა:

„მთავრობა მწერლობაზე უკეთეს მოკავშირეს ვერ იშოვიდა იმ ხალხის წარმომადგენელთა დასახვედრად, რომელიც ჩვენთვის ძვირფასია და ამაყობს ჩვენის მეგობრობით. იმათ პატივსაცემლად გამართულ დღესასწაულს ისინი არ დაივიწყებენ. გუშინ ჩემთან იყო ბარონ მორენჰეიმი და ძალიან გახარებულია, რომ ერთი გარემოება კიდევ განაცხოველებს იმ კავშირსა და სიმპატიას, რომელიც არსებობს საფრანგეთსა და რუსეთს შორის.“

—

საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, რომ პარიჟის საბჭოს განზრახვა აქვს ხელოვნების ნაწარმოები მისცეს საჩუქრად რუსეთის ზღვაოსანთ, სახსოვრად მათის საფრანგეთში ყოფნისა. ადმირალს აველანს უფეშქაშებენ ქანდაკებას: „შეიარაღებული მშვიდობიანობა.“ ქანდაკება წარმოადგენს ქალს, გაშლილის ფრდებით, თავზედ მუზარადი ხურავს და ხმალზედ არის დაყრდნობილი; ფეხთან გამოქანდაკებულია რქა, რქიდგან იპნევა ხილი, იქვე წარწერაა: „მშვიდობიანობა—შრომა.“ ქანდაკება ვერცხლისა იქმნება, ერთის მეტრის სიმაღლისა. მეორე ქანდაკება, „იდეა“ შაპიუსი, გაეგზავნება უფროს აფიცრებს რუსეთის ესკადრისას; ქანდაკება ბრინჯაოსი იქმნება, სიმაღლით 75 სანტიმეტრი. იგივე ქანდაკება, მხოლოდ მცირე ზომისა, გაეგზავნება თითოეულს აფიცერს, პატარა ყუთით, რომლის სახურავზედაც ამოჭრილი იქმნება პარიჟის გერბი და სახელი აფიცრისა. რაც შეეხება იმას, რა საჩუქრებს დაურიგებენ რუსეთის ზღვაოსანთ, ჯერ არ არის გადაწყვეტილი. არც ის არის გადაწყვეტილი, ადმირალს აველანსა და ესკადრის აფიცრებს მიეცეთ თუ არა მედალები სახსოვრად მათის ყოფნისა პარიჟში. საფიქრებელი კია, რომ გადასწყვეტენ ასეთის მედალების მიცემას. ხარჯი სადღესასწაულებზედ და საჩუქრებზედ ნაანგარიშევია 350 ათას ფრანკად. გარდა ამისა პარიჟის საბჭომ გადასდო 150,000 ფრანკი პარიჟის ღარიბთათვის დასარიგებლად.

—

გერმანია. რუსეთ-გერმანიის საბაჟო ომი მალე უნდა გარდაწყდეს. უკვე შეიკრიბნენ ორთავ სახელმწიფოს დელეგატები და შეუდგნენ სჯას, თუ როგორ შეიძლება ორთავ სახელმწიფოს ინტერესების შეთანხმება. ხოლო ეხლავე თვით გერმანიაში ორგვარი აზრი იჩენს თავს, ერთი მეორის საწინააღმდეგო. ერთის მხრივ მეურნეთა და ბისმარკის დასია, რომელიც სცდილობს გააცუდონ რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკება, წინააღმდეგობა გაუწიონ და დასაწყისშივე განაქარწყლონ. ხელ-შეკრულობის სურვილი. მეორე დასი ხელ-შეკრულობის მომხრეა და მზათაა სამეზობლო კეთილ-განწყობისა. ამ დასის მომხრე გაზეთი Berlin. Boers. Cour. ამბობს:

„ყველამ გარგად იცის, რომ საბაჟო ომის განგრძობა უფრო დიდს ზარალს მისცემს მომავალში ორთავე მხარეს, ვიდრე აქამომდე. ეგე გარეშეა, რომ აქამომდე ორთავ სახელმწიფოს ვაკართ მტკიცედ სწამდათ, რომ აწინდელი საქმის ვითარება დროებითია და მალე უნდა შეცვლილი იქმნას. ორივე ქვეყნის ვაჭრობა დროებითაა შეჩერებული და არა სამუდამოდ მოსპობილი. ორივემ შეაჩერეს სყიდვა-გასყიდვა და შეაჩერეს არა სამუდამოდ, არამედ მცირე ხანს, გადასდეს დროებით. ხოლო მაშინ, თუ მოლაპარაკება შესწყდა და საბაჟო ომიც სამუდამოდ გამოცხადდა, ორივე მხარე ყოველნაირ კავშირს მოსპობს ურთიერთ შორის. აი ამისთვის არის საჭირო, რომ ეხლანდელ მოლაპარაკებას დიდის ყურადღებით და მოფიქრებით მოეპყრან და ხელი შეუწყონ ხელ-შეკრულობას და საქმის კეთილად დაბოლოვებას“.

ხელ-შეკრულობს მოწინააღმდეგეთ შესახებ გაზეთი ამბობს:

გერმანელთ, რომელნიც მოწინააღმდეგენი არიან ხელ-შეკრულობისა და რომელნიც დამყარებულან ბისმარკის თანამოაზრე გაზეთებზედ, სჯერათ, ვითომც შეიძლებოდეს ხელ-შეკრულობის მიღება იმ პირობით, რომ პურს ბაჟი არ დააკლდეს, ეს ბაჟი სხვა სახელმწიფოებიდგან შემოტანილ პურის ბაჟს არ გაუთანასწორდეს. ეს აზრი სულელურია. რუსეთთან არ შეიძლება მოლაპარაკება, თუ არ დავიმედეთ, რომ ხორბალის ბაჟს შევამცირებთ. ჩვენ გვესმის, როცა გვეუბნებიან არ გვინდა რუსეთს შევეკრათ პირობითაო, ხოლო ის-კი ვერას გზით ვერ წარმოგვიდგენია, თუ შეიძლება ხელ-შეკრულობა ისე დამთავრდეს, რომ უმთავრეს სავაჭრო საქონელს რუსეთისას—ხორბალს—ბაჟი არ შეუმცირდეს.

მეორე წერილში იგივე გაზეთი ამბობს:

სავაჭრო ხელ-შეკრულობას რუსეთთან დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს გერმანიისათვის და ამის შეგნება ჩვენ-მიერ ბევრად გაადვილებს საქმის დაბოლოვებას. თუ გერმანიასა და რუსეთს შორის ხელ-შეკრულობა არ მოხერხდა, ამითი ორ სახელმწიფოთა პოლიტიკური დამოკიდებულებაც შეიცვლება. მაინცა-და-მაინც ამას ბევრად მეტი მნიშვნელობა ექმნება, ვიდრე ფრანგების აღტაცებულ დემონსტრაციებს რუსეთის ესადრის მისვლის გამო.

—

Hamburger Nachrichten იუწყება, რომ ამ დღეებში ბისმარკი გადაესახლება ფრიდრიხსრუეს. ამიტომ ის ხმა ტყუილია, ვითომ იმპერატორი და ბისმარკი ერთმანერთს კისინგენში შეხვდებიანო.

უცხოეთის ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

—

ბრიტანიის საბიბლიო საზოგადოებას თავის დაარსების დღიდგან, ე. ი. 1804 წლიდგან, 10 მილიონი სტერლინგი (100,000,000 მანათი) დაუსარჯავს სიღვთო წიგნების თარგმნასა, ბეჭდვასა და გავრცელებაზედ.

**

პეტერბურგის ჯანდრაკის მოთამაშეთ დიდი სიამოვნება მოელოთ: 15 და 26 სექტემბერს პეტერბურგის ჯანდრაკის მოთამაშეთა კლუბში შეეჯიბრებიან ორი ცნობილი საუკეთესო მოთამაშე ჯანდრაკისა—ჩიგორინი და დოქტორი ტარრაში. უკანასკნელი განთქმულია გერმანიაში ჯანდრაკის თამაშით; სადაც-კი შესჯიბრებია ვისმე, ყველგან დაუმარცხნია და პირველი სიჩუქარი მიუღია. სხვათა შორის, მიუღია პირველი სიჩუქარი ბრესლაველში 1889 წ., მანჩესტერში 1890 წ. და დრეზდენში 1892 წ. თუმცა ისეთ ცნობილ მოთამაშეებს, როგორნიც არიან სტეინიცი და ჩიგორინი, ტარრაში ჯერ არ შესჯიბრებია, მაგრამ ამ თამაშობის მოყვარულთა შორის-კი სასელ-განთქმულია და შესამჩნევი ადგილი უჭირავს. ტარაშსა და ჩიგორინს ჯერ ჭაკანაში უნდოდათ შეჯიბრება, ხოლო ეს ტარრაშმა ვერ მოახერხა. ესლა ჩიგორინმა პეტერბურგს მოიწვია და იმასაც თანხმობა გამოაცხადა.

მომგები მიიღებს წამგებისაგან 5000 მარკას. უნდა ითამაშონ ათჯერ და ის ჩაითვლება მომგებად, რომელიც წინად მოიგებს ათ უაიმს. თუ პარტია გაუიმდა, ე. ი. ვერც ერთმა ვერ მოიგო, არ ინგარიშება. თუ როგორ წავა პარტია, დეშეშით აუწყებენ ყოველ დღე ამერიკას.

ამ რიგად სადამოყნო ომს გარდა საჯანდრაკო ომიცა აქვს რუსეთის გერმანიასთან.

**

თავ-გზა დაბნეული მერი. იტალიის ჯარის აღდგომების დროს მეფე ჰუმბერტო ერთს ქალაქში ჩამოხდა და კარგა ხანს დარჩა. რასაკვირველია, ქალაქის ყველა მოსელნი მიეგებნენ. ყველაფერი რიგზედ მადიოდა, ვიდრე ქალაქის მოურავი არ წასდგა მეფის წინაშე. წინად ეს მოურავი ამაყი იყო და პარპაშობა ძალიან უყვარდა, მაგრამ მეფის წინაშე-კი [illegible] ერია. როდესაც [illegible] ჩამოართვა [illegible] „თქვენო უდიდებულესობავ, ესლა, როდესაც მე გიხილეთ, შეგიძლიანთ გულდამშვიდებით განისვენოთო.“

**

სარდუს ახალ პიესას Madame Sans-Crêne ამ დღეებში ითამაშებენ პარიჟის თეატრში Vaudeville. ერთი გმირთაგანი ნაპოლეონ პირველია. Sans-Crêne ცოლია მარშალ ლეფებორისა. კომედია-დრამა იწყება პროლოგით 1893 წელს პარიჟს და თავდება 20 წლის შემდეგ პარიჟსა და კომპენში. ნაპოლეონი დახასიათებულია, როგორც ოჯახის პატრონი.

—

სამხედრო დრამა „ნაპოლეონ“. პარიჟის თეატრი Porte St.-Martin-ი ამზადებს ახალ დრამას „ნაპოლეონ“, რომელშიაც 6 მოქმედებაა და 66 სურათი, მათ შორის: „დაგვირგვინება იმპერატრიცის ჟოზეფინისა“, „დაგვირგვინება ნაპოლეონისა“, „წმ. ელენეს კუნძულზედ“, „იმპერატორის გარდაცვალება“ და სხვა. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს 200—300 კაცი და დაიხარჯება 250,000 ფრანკი.

გამოსადეგი ცნობანი

—

სამეურნეო იარაღი, ანუ სხვა ნიეთი, რკინისა და ფოლადისა, რომ არ დაჟანგდეს, საჭიროა შემოდგომაზედ, როცა ჟუშობა გათავდება, კარგად წაესვაროს ჩვრით ერთად არეული ოთხი წილი (წონით) ქონი და ერთი წილი ფისი.

დეპეშა

19 ენკენისთვე

პეტერბურგი. რუსეთი მიიღებს მონაწილეობას სემეცნიერო სამრეწველო სახელოსნო გამოფენაში, რომელიც იქმნება მომავალ წელს ანტვერპენში. ვისაც მონაწილეობის მიღება სურს, უნდა გამოუცხადოს სავაჭრო დეპარტამენტს ამ წლის 1 ნოემბრამდინ დაწვრილებით ცნობის შეტყობა შეიძლება დეპარტამენტში, ადგილობრივ გუბერნატორთან, ბირ-

---

— როგორ?—წამოვიძახე მე და სენეშალს სიტყვა გავაწყვეტინე.—კლემანსი?... ეს მოხუცებული დედაკაცი, ამას წინად რო...

— სწორედ ეგ დედაკაცი. ისიც უნდა გითხრა, რომ იმ დროში საწყალი კლემანსი შესანიშნავი რამ იყო. ოცის წლისა, ლამაზი, ტანწერწეტი,—მისი წელი ორს ხელში ჩაეტეოდა,—და მშვენიერი, სქელი წაბლისფერი თმა. მაგრამ რა გამოვიდა?—ობოლი, უპატრონო, პარიჟის ქუჩაში გამოგდებული, სიამოვნების მძებნელი და ერთი იმ ხელობის ქალთაგანი, რომელნიც... აბა, რა გითხრა? ოკტავმა პირველად პრადოში გაიცნო. ჯერ ერთად იყვნენ, მერე განშორდნენ, შემდეგ ისევ დაუახლოვდნენ ერთმანერთსა, ბოლოს კიდევ განშორდნენ. ერთს საღამოს მე და ოკტავი ჩემს ოთახში შევედით: ვნახოთ, კლემანსი დაგვხვდა, მთლად აკანკალებული. წინ მაქთაფით წვენი ედგა, მაგრამ არა სჭამდა. ვკითხეთ ამბავი. ამ დროს ერთი ექიმი სტუდენტი შეგვესწრო. გასინჯა ავადმყოფი. ფილტვების ანთება ჰქონიაო, ფილტვების ანთებას კიდევ გაცივებაც ზედ დაჰმატებიაო. რა უნდა გვქნა? ქალს ერთი საცოდავად მოწყობილი ოთახი ეჭირა. ფული არ გაგვაჩნდა. სტუდენტმა სამკურნალოს სახელი ახსენა. ამაზე ქალმა ტირილი დაიწყო. ოკტავი მეტად კეთილის გულისა იყო: ჩაისვა ეტლში და თავის ოთახში წაიყვანა. როგორც დას, ისე უვლიდა. მალე ფეხზე წამოაყენა. როცა სრულიად მორჩა, რა თქმა უნდა, გარედ არ გაუგდია. მას აქედ ოცი წელიწადი ერთმანერთს არ მოჰშორებიან.

— როგორ?.. ფირმეცი! პოეტი! იმ ქალთან...

— ეს ქალი, ჩემო კარგო, ღარიბი ბავშვი იყო ქუჩისა და ბუნებისა; ოცის წლისამ სისულელე ჩაიდინა, მაგრამ გული მაინც კეთილი ჰქონდა. ოკტავს მაგიერი სიკეთე იმით გადაუხადა, რომ მისი უკეთესი, უერთგულესი მეგობარი შეიქმნა; იმაზე ამოსდიოდა ტ ჩასდიოდა მზე. ორთავეს ცუდი დღე დაადგათ. მოვალეებმა გაიგეს, რომ ფირმეცს სახლიდგან არას უგზავნიდნენ; ყველამ უარი უთხრა—ვეღარ გენდობითო. უნდა რაიმე ღონე ელონა ლუკმა პურის მოსაპოებლად. ეჰ, ვინ იცის რა ძალლ უმადურად სცხოვრებდა საწყალი პოეტი მთელის ათის წლის განმავლობაში? პლეზანსის ქუჩაზე ორი ოთახი ეჭირა; ყოველ ცისმარე დილას ომნიბუსს მოასკუპდებოდა ზემოდგან და რიშელიეს ქუჩისაკენ გასწევდა ბიბლიოთეკაში წიგნების საქექად.—აი მაშინ იყო, ლარუსის ლექსიკონისათვის მასალებს რომ ჰკრეფდა. კარგად რომ დაბნელდებოდა, სახლში ბრუნდებოდა. სჭამდა იმას, რასაც კლემანსი დაახვედრებდა. ერთი პატარა, საცოდავი ლამპა ედგათ სტოლზე მწვანე სინათლის მრიდით (abat-jour) და ის უნათებდათ სუფრას; დანა-ჩანგალი დაჩლუნგებული იყო, ხელსახოცები ჭუჭყიანი. ვახშამს კიდევ ყველს დაატანდნენ ზედ ორთავენი და ეს იყო. შემდეგ მთელი ღამე დილის ორ-სამ საათამდე „გადასაწერს“ უჯდა. გადასაწერი, რომელიც კილომეტრებით იზომებოდა და ფულს ისე აძლევდნენ, „გადასაწერი“ საშინელი მოსაწყენი და ძილის მომგვრელი!.. მერე, აჩქარებით წერა ჭუჭყიან სუფრაზე, ღუმელის გვერდით, სადაც სარეცხისათვის წყალი თბებოდა, და სადაც ყავადანი იყო შემომდგარი! მარტო რომ ყოფილიყო პოეტი, ამისთანა სიცოცხლეს ვერას გზით ვერ აიტანდა. მაგრამ გვერდით ჰყავდა ეს შვილი ერისა: მწვანილისაგან სხვადა-სხვა წვნიან საჭმელებს უკეთებდა, გვერდით ჰყავდა ეს ტკბილი და მზრუნველი არსება, რომელიც მხნე იყო, როგორც გლეხის ქალი მკის დროს და კოპწია და ლამაზი, როგორც იდ-პარკის ამაზონი, გვერდით ჰყავდა ეს დედაკაცი, რომელიც იმდენად მხნე და გაჭირების ამტანი გამოდგა, რომ ათის წლის განმავლობაში თავის საყვარლისათვის ერთხელაც არ უთქვამს: „ტანთ არ მაცვია და ფეხთაო“. გვერდით ჰყავდა ეს კეთილი მეგობარი, რომელიც დრო-გამოშვებით, როცა ის თავისს საქმეს ჩაჰკირკიტებდა, ეს თმებს გადუშლიდა პირისახეზე და აკოცებდა ტუჩებში. მუშაკი, რასაკვირველია, უფრო მხნედებოდა. თუ ძილისათვის ცოტა დრო ჰქონდა, სამაგიეროდ, იმისთანა გულთან იყო ჩახუტებული, რომლის იმედი დიდადა ჰქონდა...

მოდი და ახლა ამისთანა კავშირს დროებითი კავშირი დაარქვი!

თ. სა—კია

(დასასრული იქნება)

ერისა და სავაჭრო კომიტეტებში.

დამზღვეველ საზოგადოებათ, რომელნიც პურს აზღვევენ შემცირებულის ტარიფით, შეერთნენ საზოგადოებანი: „პეტერბურგი“-სა, „მოსკოვი“-სა, „საკომერციო“, „ჩრდილოეთი“-სა, ვარშავისა“, „იაკორ“, „ნადეჟდა“, „ვოლგა“ და „როსსიანინ“.

პარიჟი. გამართვა დღესასწაულისა ტულონში 550,000 ფრანკი დაჯდება.

ბუენოს-აირესი. რევოლიუცია არგენტინის რესპუბლიკაში გათავდა; ნაციონალური გვარდია დათხოვნილ იქმნა.

ბანგკოკ. საფრანგეთი მოწადინებულია დაუთმოს რუსეთის კუნძული კანსამიტი, ქვა-ნახშირის საწყობად.

ვენა. ლვოვიდგან იუწყებიან, რომ სტრიაში დიდი კრება იყო რუსთა დასისა, რომელიც იმ აზრს დაადგა, რომ აუცილებლად საჭიროა რუსთა დასების შეერთება და რუსეთის დეპუტატებმა, რომელთაც არ მოსწონთ საბრთხილო კანონის შემოღება პრაგაში, უნდა წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობის წინადადებას პარლამენტში ამ განკარგულების შესახებ.

ბერლინი. საბაჟო კონფერენციაზე მოსულ რუსეთის დეპუტატებს ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდათ ბეტტიხერთან. ორთავ მხარემ სასიამოვნო შთაბეჭდილება გამოიტანა მოლაპარაკებიდგან და დარწმუნდა, რომ ყველანი მოწადინებულნი არიან სავაჭრო ხელ-შეკრულობა დაადგინონ და იმ აზრით არ შეყრილან, რომ მოურიგებლობის ბრალი ერთმანერთს დასდონ. ვაჭრები მოუთმენლად ელიან მოლაპარაკების შედეგს, მეურნეთა კავშირი სცდილობს საოლქო კრება გაამართვინოს მეურნეთა ინტერესების დასაცველად. National Zeitung-ი ჰკიცხავს ამ კავშირის საქციელს, რადგანაც ექსპერტთა შორის, რომელნიც მოწვეულნი არიან რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულობის შესამუშავებლად, საკმაო რიცხვი ურევია მეურნეთა.

მადრიდი. პალას, რომელსაც მარშალ კამპოსის მოკვლა უნდოდა, სიკვდილით სასჯელი განუჩინეს და განაჩენს ორშაბათს აასრულებენ.

20 სექტემბერი

პარიჟი. პეტერბურგის გაზეთების დელეგატები ავსეენკო, კომაროვი, ნოტოვიჩი და სუვორინი გუშინ მიიღო რუსეთ-საფრანგეთის დღესასწაულების გამმართველ კომიტეტმა.

ლონდონი. გუშინ გათავდა შეთანხმება საფრანგეთისა და სიამ შორის, თანხმობის ქალალდს ხელის მოაწერენ 30 ოქტომბერს.

გამოსადეგი ცნობანი

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიადმ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ეს სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

განცხადებანი

თესლი აბრეშუმის ჭიისა

ძმათა პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმალეთი)

ნოემბრის დამლევს მივიღებთ გასასყიდად ცელულიარნი გრენა ძმ. პასხალიდებისას.

მიმართეთ ტფილისში **როდოკონაკის** სააგენტოს, სასახლის ქუჩა, ქარვასლა ტფ. სათ.-აზნ. ბანკისა № 128, აგრედვე კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას.

(4—966—2)

გამოვიდა და ისყიდება

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ძრაკები

მოწაფეთათვის სახმარებლად

სულხან-საბა ორბელიანისა

გამოკრებილი „სიბრძნე-სიცრუედამ“.

ფასი 25 კაპ.

(3—რ—2)

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევიე 2 საათამდე. (150—100)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	ფან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანი-დამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა.	„	20
სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . .	„	50
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20
დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა .	„	40
გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა	„	20
მეველე, მისივე. . . .	„	10
თავადი იერონიმე, მისივე.	„	10
მთიული სოსე, მისივე . .	„	10
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. .ე	„	20
რავდენიმ მოთხრობა მისივე.	„	50
ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა.	„	50
ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი	„	55
ლექსები გრ. ორბელიანისა	„	50
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა	1	20
თხზლებანი ი. დავითაშვილისა	„	80
სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10

მამოსადეგი ცნობანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანი

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა. დილაობით იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშბი ტკივილებისა.

დ. ბ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ ბრატასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეშურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. ს. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

პანსიონი ტერ-აკოფოვისა

გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის ოთხის კლასის კურსით

გადავიდა განოვის ქუჩაზედ, № 11, საკუთარი სახლი

იუვანს შეგირდებს მოსამზადებლად **გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა და კადეტთა კორპუსებში** მეოთხე კლასამდე, **მიწის მზომელთა და იუნკრების სასწავლებლებში** მისადებად.

პანსიონთან არის საყმაწვილო ბაღი.

პანსიონში ასწავლიან გიმნაზიის მასწავლებლები.

(8—950—7)

„ნევის კაპრიზი“

ᲓᲣᲮᲔᲑᲘ—„ნევის კაპრიზი“
ᲝᲓᲔᲙᲝᲚᲝᲜᲘ—„ნევის კაპრიზი“
ᲡᲐᲙᲝᲜᲘ—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ სხვ. ოდეკ.

სატესნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„**კაპრიზ ნევის**“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—12)

Teichner's Fettpuder

მსუქანი პუდრა ლეიხნერისა

კოლოფით 1 მანეთია

პუდრა დილისა და საღამოს სახმარი, სახეს არ ემჩნევა. პირის კანს აკეთებს. თეატრის გრიმისთვისაც კარგია. მსუქანი ფერ-უმარილი. ყარანდაში წარბებისთვის. რუსეთის ყველა აფთიაქში და კოსმეტიურ მაღაზიებში იშოვება.

ლ. ლეიხნერი, ბერლინში,

ბელგიის საიმპერატორო თეატრის იჯარადარი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის: В. Аурихъ, Колокольная, 18—19.

С.-Петербургъ. 6—6

Доз. ценз. Тифлисъ, 20-го Сентября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე